

სალიტერატურო და საკომპოზიციო გაზეთი გამომდის ორგანიზაციით

რედაქციის ადრესი: Тифлиси, Гановская ул. д. № 6. К. П. Туманову.

ესეთი „იმერია“ გამოდის ორშაბათობით, ცალკე № ღირს კვლეკან ერთი მარტი. ნომერში მოთავსებული იქნება კვირა ღირსი სმებები და დეპეშები, რომელიც სხვა გაზეთებში სამშაბათობით გამოდის. წლის ფასი 3 მან. წლის დაღმავალი. 2 მან. სარედაქციო ნაწილის გამკე კ. პ. თუმანიშვილი.

ბალი რესტორანი
„ЮЖАНЕ“ (სამსრეოელები)

დგორკოვის ქუჩა, თავდა-ანაბრობის თეატრთან — ბაღში. ყოველ დღე დაუკრავს დღისით 2—4 საათამდის და საღამოს 9—2 საათამდის თეატრის სასაფულო თეატრის საოპერო ორკესტრი მან 3. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით. სადილი ორი პლუდიდან იღირება — 60 კაპ. 3-დან 80 კა. 4-დან 1 მან. აქვე არის საქველების სია და პრესკურანტი ყველანაირის საგნებისა.

ფასები ხელმისაწვდომია. შეხვალა უფასო.

ტიფლისის საიმპერატორო სამსახირო სასწავლებლის ფორგოპიანოს ანსამბლი

ბ. ლ. სარიშხაროვი

ფორგოპიანოს მკვლანი, რაზიზიკაია ქუჩა № 11.

მიიღება შეხატეფლად ყოველგვარი როალი და პიანინო პასუხისმგებლობით იყიდება როალიდან და პიანინოდან მტეერის გამოხაზეფი. ფასი 3 მანეთი.

კ ა ს ე თ ი მ ე ჯ ვ ი ნ ე თ ა მ ხ ა ნ ა გ ე ბ ა

ს ა მ რ მ

ახანაგობის წყრთა ეფხაბების ღვინო ბოთლი 25 კაპ და მტეტი. მუღმეჟ მუშტრეპის ღვინო და კლავუდ ფი-სეჟში ეღვლეჟი მაღალი იმყოფება ერეგვის მოედანზე, თამაშეგვის ქარვასალში

ს ა ნ ა ტ ო რ ი უ შ ი

ქ. გ. ღ. დაშაშაიძის

პ ა ტ ა რ ა ე მ ი ბ ა კ უ რ ი ა ნ თ ა ნ .

Харковские высшіе женскіе курсы
(Вознесенская ул. № 3).

Пріємъ прошеній на 1, 2 и 3 к. к. Историко-Филологическаго и Юридическаго факультетовъ (съ 3-годиннымъ курсомъ, какъ въ Импер. Моск. Лицеѣ) производится въ канцелярїи этихъ факультетовъ (Мало Гончарская, 2).

Пріємъ прошеній на 1, 2 и 3 к. к. Медицинскаго Факультета (Клиники III курса оборудованы) производится въ Канцелярїи Медицинскаго факультета (Вознесенская, № 3). Прошенія подаются на имя Завѣдующей Курсами и адресуются въ Канцелярїю избраннаго факультета.

При прошенїи поступающими на I курсъ представлят. подлин. док.: ат. 7 кл. гимн., инст., епархіальн. или равныхъ имъ по пограм. зав., метр свид. о рожд. (и брачно для замужнихъ), св. о политическ. благонат., 2 фот. и 1/2 док. плата (на медик. 200 р. въ годъ и на юридек. и ист.-фил.— 125 р. нъ годъ), и почт. марки для отвѣта, иначе прошенія не разсматриваются. Для поступления на старшіе Курсы кромѣ вышеупомянутыхъ докум. подается еще удостовѣреніе о зачетѣ семестровъ сооответств. уч. зав.

На курсахъ преподаются теоретич. и практич. (для слушательн. всѣхъ фак.) латинскій яз. и новыя языки: франц., англ. и нѣмецк.

Лицамъ Іудейскаго вѣроисповѣданія курсы права жительства не даютъ.

საფე პარიზი

ტყ. თავდა-ანაბრობის თეატრის ეზოში (Дворцовая ул.)

ჩაი, რძე, ყავა, შოკოლადი, კაკაო პირაფოკები, ბუტერბორტები (15 კაპ. და მტეტი)

ს ა ჯ ა ზ უ რ ი

ცივი და ცხელი კარბები 25 კ. და მტეტი სასმელი წყლები

ლუდი, სადილი

ფ ა ს ა მ ბ ი ხ ა ლ ი ა ს ა ლ ო მ ი ა

სისუფთავე და ქარგი სამსახური

Кавказскій натуралнбнй Коньякъ
D.3. САРДЖЕВЪ № 25
თიფისი № 25

ქართული ხალხური სიმღერები და ლექსები

ღაბირაშეპას და გაღაბირაშეპას

ადრესი: გ. ტიფლისი ულ. ვილინსკაი, ბუშ. კირიჩნაი დ. № 19. კვ. კნ. Херхеуидзе.

ნახეა შეიძლება ყოველ დღე, დღის 8 1/2—10 საათამდის—საღამომდის 5—7 საათამდის. შეიძლება წერილობითაი.

ბუნებალტერია

ვისაც სურს გაეცნოს იმას, თუ რა ნაირად ვასწავლი მიწე-მოწერით იტალიანურ ბუნებალტერიას, კომერციულ სხვადასხვა ცოდნას, იმათ გაეუცხანო პროსექტს და ერთ სანაირად ლექციის უფასოდ.

Я. Ю. Марк. ქალაქი ლიბავა

ქრობის შესახებ

ქართველების შეგნებული და მოწინავე ელემენტები ამ კამად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ერთ საკითხს რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველებსთვის.

ეს არის კავკასიაში ერობის შემოღების საკითხი. მთავრობას ვანუზარაზებს ჩვენც მოგვანიშოს ის უფლება, რომელიც შიდა რუსეთში ხალხს დიდი ხანია აქვს მიჩენებული, მას თვითონ კიდევ შემუშავებული აქვს შემოსაღებ რეფორმის პროექტი, მას აღბაღ წინდაწინვე გადაწყვეტილი აქვს, რა სახით იქნება ჩვენში შემოღებული ერობა, მაგრამ ამავეს ჯერ არ ამხდის და უნდა რეფორმა შემოიღოს ისე, თითქო იგი ბიუროკრატის კანცელარიებში შედგენილი არ იყოს, თითქო იგი თვით საზოგადოებრივ ძალებში შემუშავებულია და ამიტომ საზოგადოების სურვილისა და მისარაგების სასესებით გამოხატავს.

ამიტომ მთავრობამ საზოგადოებას მიმართა და მისგან საგრობო პროექტის შედგენაში თანამშრომლობა ითხოვა. ეს თანამშრომლობა მთავრობისთვის საჭირო და სასურველია იმდენად, რამდენად და საზოგადოებრივი ძალები გააოსტევენ იმას, რაც მთავრობისგან შედგენილ პროექტში უკვე შეტანილია. პირიქით, რამდენადც საზოგადოებრივი ძალები ისეთ რაზე შეიტანენ პროექტში, რაც მთავრობის ვანუზარაზებს ეწინააღმდეგება, მათი თანამშრომლობა შედეგად ჩაივლილი იქნება და მათგან გამოთქმული სურვილი უშედეგოდ დარჩება. ამ მხრივ ახლად შედგენილი საგრობო კომისიების შრომა სრული უნაყოფოა.

უნაყოფოა იგი თუმცა პროექტი სახელმწიფო სათათბიროში უნდა მივიდეს და იქ მოხდეს იქნება. ახლანდელ სათათბიროს უმეტესობა არაფერია და ვანერჩევა მმართველ ბიუროკრატისგან და ეს უმეტესობა ისევე მოკლებულია ჩვენი კეთილი დღეობის სურვილს, როგორც სხვებში ბიუროკრატია ის, რაც ჩვენ სასიკეთოდ მიმწეული გვექმნება, სათათბიროს უმეტესობას შეუწყნარებელ დემოკრატად ან სეპარატისტულ ორად ეტყევა და ამიტომ მთავრობისგან წარდგენილ პროექტს სათათბიროში, ყოველთვის უფრო ადვილად მიიღებენ, ვიდრე ჩვენს მოსაზრებას კავკასიის ადგილობრივ საჭიროებათა შესახებ...

მაგრამ ამ მხრივ უნაყოფო თუ არის ამ კომისიების მოქმედება, იგი ყოველივე მხრივ უნაყოფოა თუ არა? საჭიროა ამ კომისიებში მუშაობა, თუ განჯე უნდა გავდგეთ და იქ ხმა არ ამოვიღოთ? გვადგეფლიკოთ ბიუროკრატის თუ ჩვენი სიტყვა მინც ეტყვათ, რომ ანაირად შეძლებში სინილისა მინც არ შეგვეწყობოს და შეგვეცოლოს ეტყვათ, რომ შევა-საბუნებრივად ბიუროკრატის თუ ჩვენი ხელი იყო?

ჩვენ გგონია, რომ ამ კომისიებში ჩვენ, ქართველებმა, მთურობაე მოწინავე-ლობა უნდა მივიღოთ. ის რაც ჩვენთვის სასურველი არ არის და რისი შე-მოღება უნდა მთავრობას, უნდა იქნას ამ კომისიებში კერძოდან შეფასებულ და გარკვეული, რომ ჩვენ სურვილად არ გასაღდეს ის, რაც ნამდვილად ბიურო-

კრატის სასურველია. აგრეთვე ამ კომისიებში უნდა ვიყოთ ისინისთვის, რომ სხვებმა, არა ბიუროკრატებმა; არ გამოხატეს ჩვენი სახელით ისეთი რამე, რაც ჩვენ ეროვნულ ინტერესებს არ შეეფერება...

მაგრამ შოლოდ ამით არ განსაზღვრება ან არ უნდა განსაზღვროდეს ჩვენი მუშაობა ხსენებულ კომისიებში. აქ თეორიულ საკითხებთან ერთად, მთავარ ერობის გარეგან მოხაზულობასთან ერთად გაიჩვენა მრავალი პრაქტიკული საკითხი, მომზადება ერობის განხორციელებისთვის საჭირო მასალა და იმ ამ პრაქტიკულ საკითხების შესწავლა და გადაწყვეტა ისეთი შრომაა, რომლისთვისაც დროსი და მეკადინეობის დახმავა არ შეიძლება. როგორია, მაგ., სოფლის აღმადგენი ეკონომიური მდგომარეობა, რას იხდის იგი, მისგან დავანდელი ფული რაზედ იხარჯება, რამდენად სასარგებლოა სოფლისთვის ახლანდელი ადმინისტრაციის წყობილება და გაბატონება, რამდენი ზედმეტ-ბარჯი დასკრდება ერობას, რამდენ ზედმეტ ბარჯის ატანა შეუძლია სოფელს—რეფორმის ფინანსური მხარე რომელიც მოითხოვს სოფლის ყოველ მხრივ შესწავლას, აი ეს არის ხსენებულ კომისიებში უფრო საჭირო და უფრო ნაყოფიერი საქმე, აი ამას უნდა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება ჩვენმა საზოგადოებმა. იქნება ჩვენში ერობა თუ არა, იქნება იგი არ სართულიანი თუ ოთხ სართულიანი, იქნება იგი ცენზიანი თუ უცენზო, იქნება თავისუფალი თუ ადმინისტრაციულ დამოკიდებული, ის შრომა, რომელიც დახარჯული იქნება რეფორმის ფინანსურ მხარეს შესწავლაზე დაკარგულად არ ჩაათვლება, რამდენად ეს ფინანსური მხარე აქვს ყველა და ყოველნაირ ერობას ეს ფინანსური მხარე არ მოსაზობა ერობის შევიწროვებით, ეს ფინანსური მხარე — ის საძირკველია, რომელზედაც უნდა აშენდეს ერობა, იგი კალაპოტია, რომელშიაც უნდა მოთავსდეს ერობა, ის კალაპოტი, რომლის დავგარ უნდა შეიტვალოს ყოველი საგრობო პროექტი თუ კი გვირდა, რომ იგი სუსტი და უსიკოცლო არ გამოდგეს. ეს ერობის ფინანსური მხარე რეფორმის ეკონომიური საძირკველის ამოყვანა და ამ საძირკველს მტეტი ყურადღება რომ მივაქციოთ მეტად საჭირო და აუცილებელია.

ქ. თუმანიშვილი

ახალი ამბები და დეპეშები

ახალციხეში ვიღაც უცნობებმა მოკლეს გაქცეული ჯარის კაცი, ახალციხის მცხოვრები არამ ასლანოვი.

გორის მახარაში პურის გვარიან მოსავლს ელან. სიმინდის მოსავლის კი ჯერ-ჯერობით ვაღწევეტით ვერაფერი ითქვამს.

გეზარბოსის მოკვლის თაობაზე ქართველ მფლდლების წინააღმდეგ დაწეული გიმოძიება სინოლის განკარგულებით მოისპო.

კავკასიის რკინის გზაზე საიღუმლო კონტროლებმა ვაგონები ჩამოიარეს და მესამე კლასის ვაგონში რამდენიმე დიდი ტომარა ნახეს. კონტროლერმა განაცხადა ამ ტომარებში ხილი არის, როსტომი რკინის გზაზედ სხვა და სხვა მოსამსახურე პირებისთვის ნაყოფილი. მართლაც ტომარებს ამათი გვარები ეწერა. კონტროლერის განყოფილებაში კიდევ ორი ასეთი ტომარა იყო. კონტროლორებმა ხელი მოკიდეს ტომარებს, შიგ კოცხალი რაღაცა აღმოჩნდა. მოხსნეს პირი ტომარები და ამოიყვანეს ხული მუშა და ქალი პატარა ბავშვით. ახლა ვაგონში დატოვებულ ტომარებს დაუბრუნდენ, მაგრამ ტომარები ვეღარ ნახეს. ეს

„ხილი“ საღაცა გაბარულია.

რკინის გზის მინისტრი პიატი-გორსკი ჩასულა ისე, რომ კონტროლერებს მისი ვინაობა არ სკონდათ. მინისტრს პირველი კლასის ბილეთი ჰქონდა. ახლა ყველა კონტროლერისთვის მინისტრის სურათები დაუბრავიათ.

ნოლის მკვლელობაში პოლიცია ბრალს სდებს ანტონ კანტურას.

1-ლ ავეისტოს ვიღაც უცნობებმა დასკრეს რევილერით აფრიკიანის ანხანავობის ნოქარი ისაკი შახნაბაროვი.

1 ავეისტოს პოლიციამ დაიკრი-გ გოგინაშვილი და გ. გრატისშვილი, რომელთაც ტერ-ნაქანოვის მკვლელობაში მონაწილეობის მძღების ბრალი ედებათ.

პოლიციამ დაიკრი ბერიაშვილი და ისიკაშვილი, რომელთაც დასკრეს მეფოვე მურუხანოვი.

სტოკოლმი. ვაფოცა შევიღობიანობის ფარგალს არ სკვადდება. მრავალი მუშა სტოკოლმიდან წავიდა. ვახუთები თავის დროზე გამოდის სახანო და სამრეწველო დაწესებულებებში მუშაობა არ შეწყვეტილა. ყველა ქუჩაში შევიღობიანობა. სანავაგე შოლის ორგანიზაციის გარეშე მუშები ნავთსადგურში მუშაობას იწყებენ ორშაბათს. კარლოვინადან ცნ-ბა მოვიდა, რომ ამწყობებმა პატრონების წინააღმდეგ ხელი აიღეს მუშაობაზე. სოფლის მუშე-ბი ორშაბათიდან იწყებენ მუშაობას, დათსინგბორნში ტრამეის ყველა მუშა გათხოვილია.

სსკოვი. სოფლებმა დაანგრეს ხოლერის საავადმყოფო, ვალახეს ექიმები და ხოლერით ავადმყოფები შინ წაიყვანეს.

ბაქო პოლიციამ მოკლა ერთი ინ-ტინტთან მოსული შანტაისტი, რომელიც 1500 მანეთს ითხოვდა.

სალონიკი. ჩხრეკის შემდეგ დატუსაღებული რამდენიმე ბერი. აღმოაჩინეს მრავალი იარაღი.

ჩეი დიური

ჩვენ ქვეყანაში ათასი გაჭირვება, დღე არ გავა ისე, რომ საქართველოს რომელიმე კუთხეში რამე გულშემაზი-ვი ამბავი არ მოხდეს, შევიწროვებულ და უღუქმაპურად დარჩენილი ხალხი სწებს და სასოწარკვეთილებში ვარდება, მტერი კი ხარობს და გამარჯვებას დღესასწაულს, რა გზას ადგია ამ დროს ჩვენი ყოველდღიური პრესა, რას ემსახურება, რაზედ აქცევენ უმთავრეს ყურადღებას და მკითხველს რა მასალით ვებაძს და სახარბოვებს? სტოკოლმის სავროთა ვაფოცა, ოსმალეთის რევილერული, მაროკოს ომი, სპარსეთში კონსტიტუციის გამოცხადება, სკანდინავიის სამინისტროს დაშობა, კონფინ-სოს სიტყვა, ეორესის პასუხი, უცხო ქვეყნების პოლიტიკური განვითარება... ჩვენი, ქართველების, ცხოვრება მიიწე-ეფებულია, კორესპონდენტებში მიგდებული, ახალ ამბებში ოდნავ ნახსენები... ამ ცხოვრების გარკვევა, მის ავგარბიანობის გარკვევა მეტ ბარგად არის ჩაივლილი, და მის ვახუთი ვერ კისრულობს და ეს გარკვევა მის ან არ შეუძლიან ან არ ეხალისება...

ახალ ამბად იყო მოყვანილი მავლი-თად ახალქალაქის მახარის ოთხ სოფლის თხოვნა ახალ ადგილების შესახებ. ყუ-რადღება არ მიაქციეს იმას, რომ ამ მახარაში ისედაც შევიწროვებულ ქარ-თველობას ისე გაუჭირდა ცხოვრება, რომ ანარგებას და სხვგან გადასახლებას რჩო-ბენ უნდათ თავიანთ ოფლით და სისხ-ლით მოარწყული ადგილები დაადონ და სხვგან ვადავიდენ. ამ სოფლების მდგომარეობა იმათ არის სავალლო, რომ პატრონ-მფარველი არა ყავთ, გე-რის ანაბარად დადებული არიან... არ არსებობს ქართველებში ისეთი ძლიერი

სოფელს წესში (ხადაც ეტლები სად-
გურია) ამ დღეებში გაიხსნება ფოტო-
ტელეგრაფის განყოფილება რასაც ჩვენ-
თვის სასწავლებლებს ნაკლები წინაშე-
ვლია არ ექნება.

დასასრულ დიდი მადლობა უნდა გა-
მოვიტყუდოთ ქართულ განათლების კო-
რესპონდენტ ბ. ვანო კიქინაძეს, რომ-
ელიც ქუთაისიდან კვიციანიძის კანტო-
რიდან დეპუტატად გახვალს და ახლო-
მასობა სოფლებში თავისი საშუალებით
ავაგონოს. ბნი კიქინაძე ბიბლიოთეკის
მეგობრობას ასრულებს, მისი მრავალი
წიგნი გატანალი აქვთ წასაკითხად ბნი
კიქინაძის ჩემთვის არა ერთხელ უთქვამს,
ბევრი ზარალი მომდის და ბევრი უსიამო-
მევენება მხედობა განათების გამოწერა-
დარიგებაზე, მაგრამ არ დავებებ მხოლოდ
ხალხს ისარგებლოს და ცოდნა შეიძი-
ნოს! ვაშა ასეთ ადამიანებს!

ჯაფარი რაჭველი

პასუხი ზიტასს

რამდენადაც მეტი შეგნებულა ადამი-
ანის, იმდენად მას (შეუგნებელთან შე-
დარებით) მეტიც მოეთხოვება, თუ ჩვენ
ამ თვალსაზრისით განსჯივართვით თქვენს
საქცილებს—მაშინ დასთანხმებით, რომ
თქვენ ჩემთან კიდევ მეტი გავყოფილეთ.
მაგრამ ამისად მიუხედავად მე მაინც თა-
ვი შევიკავებ და როცა თქვენს ვინაობაზე
შეიძლება საუბარი, პირდაპირ განვაცხადებ:
სამაგიეროდ ასეთივე მეტი მითანა (ე. ი.
ისეთივე სივალხის მიუთუნება თქვენ-
თვის, როგორც ვაკეთებდით) მე უკუ-
დავანდობარა, „ელმის“ ლელ ბს“ ..
არ შეგიძლიათ პიტანაზე, რომელიც
თუ მისი საიუბილეო წერილს დაუჯერებთ,
აკეთებთ აპოლონ წულაძე ბრძანდება
მეთქი. და მას, რომ (ასე შეუშოვნებლად)
ქართლობა-ავაგანობა შეგწამა, ეს ხომ
ჩემის მხრით ისეთივე ურცხვობა იქნება,
როგორც პიტანას მხრით პრესის „მა-
ბიკების“ მსგეფურება და ჩემს წინააღმ-
დეგ ასე უსაფუძვლოდ გამოლაშქრება
მეთქი. მე დღესაც ურცხვობათ მიმა-
ნია პრესის „მა-ბიკების“ მსგეფურება
და სწორედ ამიტომ გამოვსატე თქვენს
შესახებ გავიკრება: თუ პიტანა“ აპო-
ლონ წულაძე—რა მოუვიდა ამ კაცს
და რა საზოგადო საქმისადმი სარგებლო-
ბამ აიძულა მას ჩემს წინააღმდეგ გამო-
ლაშქრება მეთქი. აქედან თავის თავით
ცხადია, რომ მე თქვენ (როგორც აპო-
ლონ წულაძეს) სრულიად არ გაყენებ-
დი ისეთ ტუბის შეზღუდვას პრესის „მა-
ბიკებისთან“, რომლებიც თვითონ ბრძან-
დებიან როგორც ყოველგვარ სივალხა-
ხის მფარველნი, ისე ბევრ ჩამდინცი
და შემდეგ (თავისგან ჩანადენ) სივალხა-
ხის სხვისთ გამსაღებელნი... ქვევით შე-
კითხებით: „აბა, რა იცოდით რას მოვახ-
სენებდი შენზედ, კარგს, თუ ცუდსაო“.
—რომ თქვენ სასიკეთოსთინ არ ემზა-
დებოდით ეს სხვათა შორის თქვენი წე-
რილის იმ ადგილიდანაც საქმათ სჩანს,
სადაც თქვენ ბრძანებთ: „იცი რა მქვეს
გულს? ვინაა ყაბანი გამვეიდა, მეო
ნიგოთიდან ვარ იქაური ყანის მუშაო
და იქაურმა ყანის მუშებმა მოგლოცაო,
დედაც და თუ შეიტყვეს, რომ ნიგოთი
გურიშია ქე მოგვეკრა თავი, ყანის მუ-
შა იქინე ძალიან ბევრია მარა იგინი
სულ სხვა წარის ყანის მუშები. იგინის
და მისი აფიცრის ამბავს მეტე ვეტყვი—
ახლა უკაცრავათ სხვის უტყვედი ყა-
ბასა“ და სხ...—მე, ბნო პიტანა, აქ
ის კი არ მაინტერესებდა იმდენად თუ
რას იტყოდით თქვენ ჩემზედ, არამედ
ის თუ რამ აგამედრათ თქვენ ისეთი
სიმპატიური საქმის წინააღმდეგ, რო-
გორც იყო მაგ. ნიგოთში (თქვენგან
„საყაბისაქცევიო“ აღებული) ყანის მუ-
შების მოქმედება-მისწრაფება! რატომ
მაინცა და მაინც ისეთი ყანის მუშები
შეიქნენ თქვენთვის სასიკეთო, რომლებ-
მაც (სამეურნეო იარაღის შესაძენად და
შემდეგ დანარჩენ თვითონ მეზობლებ-
შიც) გასავრცელებლად) სოფლებს ყანებს
გარდა, ხელი მიჰყვეს განსაზღვრულ ად-
გილების დამუშავებას—შეფარებული
ძილ-ღონით!*) და რანიარად გაღიხარა

თქვენი თანაგრძობა ისეთი „მა-ბიკე-
ბისკენ“ და მათგან მოტყუებულ ყანის
მუშებისკენ, რომლებიც ასეთი საქის
სიმპატიურ დასაწყისს—საწინააღმდეგო
ავიტაციით და ბიოკოტით უმამინდო-
დებოდნენ! სხვების რა მოგახსენო და
მე კი შემდეგში უნდა გამოვიტყუდო:
თქვენს დანარჩენ სახეობა სცენებსაც
თუ ამ გვიარი მასალები უდრეს საფუძე-
ლად—ვერ მოგილოცავთ. „თუ ნიორი
არ გიკვიბა პირი რათ გვეწვიო“—მე-
კითხებით.—ამის პასუხით მოგახსენებთ,
რომ ამ ბოლო დროს ისეთ გრძობიერ-
გებას მოკლებულ პირებთან მიხლება
ლაპარაკი, რომლებთანაც ნიორი კი არა,
პინძლითაც რა გამოაუტყუდოთ პირი,
მგონი, იმითაც ვერაფერს აგრძობინებთ.
მეორეთ, ჩემთვის ნიორის უნა სრულიად
დაც არ არის საჭირო იმისთვის რომ
ყოველდღე უფლებიო და უსაზრო „მას-
რობას“ შესაფერი პასუხი გავსცე! თა-
ნახმათ თქვენი წინააღმდეგია ა ნიგოთი-
შია მიმოვხედეთ, ბევრიც ვეძიე, მაგრამ
ხუთი ავიტყვი მაინც ვერ აღმოვაჩინე.
აღმათ თქვენ საერთო რიცხვში პრის-
ტავები და პრაპორშეკებიც მოგიყოფი-
ნებთ და ამიტომ მოგსვლიათ მარცხი.
თქენ მეორე წინააღმდეგ: „გადათავა-
ლიერეთ კარგათ ჩემი სცენები და თუ
ეკი სადღე უხედვები რაივე პარტიულს
ყური მიმათევი ძირშიო“ და სხ... უფ-
ღილოთ მიმაჩნია, რადგან მე ამ შემთხ-
ვევაში პარტიული მოძღვრების დამსახი-
რებელი და პარტიის სახელით ავაგაო-
ნის ჩამდენთ ვებრძვი და არა რომელიმე
პარტიის მოძღვრებას! რაც შეგებდა ჩემს-
კენ მომართულ ანდაზას: „ცხენის ვერ
შესწვდენ და უნაგირს ამტკიცებენო“,
არც ეს არის მართალი. მე ვერ პრესის
„მა ბიკებისთან“ ანგარიში კიდევ არ გა-
მიწმინდია და ამასთან თქვენგან ცხენ-
ებათ მიმაწვლი „მა-ბიკების“ ვერც ისე-
თი ბედაურება, რომ მათ ვერ შეგსწე-
დეთ და, თავის დროზედ, ლაგამი ვერ
ამოცხდობთ პირში. შენებდ მეკითხებით:
„ჩემი ფსევდონიმის გამოხატვების
ნება ვინ მოგცათო?“—ერთი, რომ თქვე-
ნი ფსევდონიმი, ჩემზედ უწინ, თქვენგან
საიუბილეო წერილმა გამოაზარდაზარა და
სწორედ ამიტომაც ვეწყაჩუბი მე თქვენს
წერილს, როცა ვამბობ: თუ მის (ე. ი.
თქვენგან) საიუბილეო წერილს დაუჯერ-
ებთ პიტანა“ აპოლონ წულაძე ბრძან-
დება მეთქი. აქედან ცხადია, რომ თქვე-
ნი ვინაობის გამომდგენელი უფრო
თქვენი კალამია, ვიდრე ჩემი. მეორეთ
უნდა მოგახსენაო, რომ თქვენ, ბაგოანო
აპოლონ, ჩემს წინაშე გაცილებით უა-
რესი დანაშაული მივიძღვით, ვიდრე
ფსევდონიმის გამოხატვას. (ნამეტნა-
ვით ისეთი ფსევდონიმი, როგორც იყო
ქვევით). თქვენ უკვე საქვეყნო გამოა-
ცხადეთ, რომ ნიგოთში არსებობს რა-
ღაც სხვა სის ყანის მუშები თვის ავიტ-
რითაო! ნუ თუ ასეთი საქციელი ჩემი
ვინაობის გამოხატვებისათნ ერ ათ დას-
ვენასაც არ უღრის! როცა ასეთ რამეებს
სწერდით, რატომ არ იფიქრეთ, რომ ამას
ყურადღებას მიაქცევდენ ნუ თუ იმდენად
გულ-უბრყვილო ბრძანდებოდი მაშინ,
რომ აღარ იცოდით, ნიგოთის მოაგნებ-
და იქ იკითხავდენ: „სად იყოფე-
ბიან ეს სხვა წარის ყანის მუშები და
რომელია მათი ხელმძღვანელი ავიტ-
რიო?!“ თქვენი ასეთი საქციელით ტრის
შეზღუდვას პრესის „მა-ბიკებისთან“ ისარ-
გებლეს და ის იყო მოუხსენს ქორების
გულს თვით. ესენმა აღარც ფსევდონი-
მი დაინდეს ჩემი და აღარც პირადობა.
ამიტომაც არ გასულა მას შემდეგ აც-
ერთი თვე, რომ ამის შესახებ შეკითხ-
ვაც მივიღე. ასეთი საქციელი, რომ
თქვენს ან და თქვენი თანამოკლებების
წინააღმდეგ ჩაედინა ვინმეს, ქვეყანას
შეაწუხებდენ „ჯაშუსისა“ და „პროკო-
კატორის“ ძახილით... მე კი ყველაფერი
ეს მოვიტონე; თქვენთინაც ანის შესა-
ხებ—არაფერი მიკადრებია, მაგრამ რაი
მერე? სამაგიეროდ პირაქეთ მდებთ ბრალს
ფსევდონიმის გამოაზარდაზარებაში და
ამიტომაც ჩემს საქციელს არა საკადრის
და ავიტრის ღირსების შემოხაზვებს
უწოდებთ!! სწორეთ ამაზედ ითქმის:
„გაღმა გადევნე და გამოაღმა შეგრებოა“,
მაგრამ თუ კი მკლავათ დაზავდ მდღე
საქმე, მე კი არაფერს შეგარჩენ. ყველა
ამაგის შემდეგ, ვფიქრობ, არც თქვენ
იქნებით იმის წინააღმდეგ, რომ თქვენ-
გან მოძღვნილი უკადრის სიტყვები
უკანვე დაიბრუნეთ და თქვენგან ჩემზე

მოწერილი ის „არა საკადრის საქციე-
ლი“ თქვენს სრულ უფლებებში დიტიკო-
ვით.

რაც შეგებდა ავიტრის ღირსების შე-
ლახებას, ამაზედ ზრუნვა, თქვენის მხრით
მეტის მეტი იქნება და ამიტომ კარგს
ინებებთ, თუ ამ მხრით ცოტას თავის
თავსაც მიხედვით და ღირსეულ ავიტრის
გამოცობა—დაფასებაში უპირატესობას
ისევ ავიტრებს მიანებებთ. დასასრულ
პრესის „მა-ბიკებისთან“ ერთათ თქვენც
მსაყვედურებთ: გრძელი წერილების წე-
რას, რა ექნა, ბნო პიტანა, ეს ჩემი
ბრალი არ არის: პრესის „მა-ბიკებისთან“
გამოაყვეს ყოველ შემთხვევაში, გრძე-
ლი წერილების წერაც სჭირია.

ბ. არამელიძე

პასუხად პროკატორის წინააღმდეგს

ნათქვამია, ადამიანს 70 შედლობა მი-
ეტევა. თუ კი ამ შედლობას შეიგნებს
და უფარ ყოფს, მხოლოდ არაფერია უს-
აძვლესი იმისა, როდესაც კაც ცდება
და თითქმის არაფერი შეცდომას ისევ
უწინდებლათ აგრძობს. სწორეთ სასა-
ცილოა, შესაბრალოს, რომ არ იყოს,
ისეთი ადამიანი რომელიც აღრე თუ
გვიან, ანგარიში არ გაუწევს მის ნაშო-
ქმადრს. სამართლიანათ ამბობს რუსსო,
რომ ქვეყანაზე არაა არის უბნელის
იმისა, რასაც ჩვენ ესხდეთ ყოველ
დღეო. ეს რომ ასე არ იყოს, რომ ადამი-
ანის არ ემწეოდრეს მისი ვაგება, მა-
საც ის შერება და ხედავს მუდმივ, არც
ისეთი უთავალო, წერილების კითხვა
მუშუდებდა მკითხველს, როგორც
არის „ისისი“.

როდესაც მისი წერილი წაიკითხე
„ჩანაგის“ მე-13 ნომერში, ვერ მისდამი
საბრალულოთ გვიმხეველად და პასუხის
გაცემა არ მინდობა, მაგრამ ახლა ცცემ
პასუხს, რადგან ვიშობ მკითხველი სა-
ზოგადოება შეცდობაში არ შეიყვანოს
მიმა უთავალო წერილმა, ბ. ისო, თა-
ვიდან იმის ცხადია იყო, დამტკიცებია
მკითხველი საზოგადოებ-სთვის ჩვენი გა-
ხევის სისუსტე, მაგრამ მივიტრის, რათ
ნაყავს წყაღს, რათ ამყაოს, მართლაც
ვითამდა კოლუმბისებური ამოჩენით!
როდის ვუთხარი, რომ ჩვენი გაზეთი
ძიტირია და კვეყანაში ტოლი არა ყავს
თქვა? თუ თვით ისოს არ ღალატობს
მესტირება და ის კი სიმართლეს ეხსობება,
რომ ჩვენი გაზეთის 1 ნომერში მე ვამ-
ბობებ: ჩვენი მუშობა, მაშინ მოიტანს
ნაყოფს, თუ ერთმანეთს ხელს შეეწე-
ყობთ ჩველებრივ ჯიბრსა და ინტრი-
განობაზე ხელს ავიღებთქვა. მაგრამ ბ.
ისო ისე ყოლია ჩაყლაპული ვაჭრულ
აზრებს, რომ ეს სრულიად დიფიყებია

და ან ვერ გაუგია. ჩემი მოლოდინი გა-
მართლდა, ბ. ისო, როგორც კი გამო-
ვიდა „გარსკვალვის“ 1 ნომერი, შეუდგა
მის საწინააღმდეგო ავიტრის და მისი
პრესტიჟის დაცვას. ქართველთა შორის
„საუკეთესო პრაქტიკი და ლიტერატო-
რი“ ისო (მადლობა ღმერთს, ამას მოვე-
წარით, რომ ისო „საუკეთესო ლიტერ-
ატორს“ უწოდებს თავს. ჩვენი საზო-
გადოება ყველაფერს მოესწრება): უნდა
მიმხედარიყო, რომ ჩემი წერილების მი-
ზანი, ჩვენი სიმდიერის დამტკიცება კი
არ ყოფილა, არამედ მინდობა გამომე-
აშუარებია, (რასაც თან და თან ვუა-
ხლოვდები) რომ ისოს ვაჭრული ფსიხო-
ლოგია ვერ შეეგებება მას, რასაც მოვე-
ბის თვლით არ უუტრებს; ვაჭრის სიავ-
კარგე იმდენად აინტერესებს მას, რამედ
ნათავ მეტი გასაღდება, რომ მეტი კ-
პიკები დარჩეს. თქვით ჩვენ უძლური
ვართ, მაგრამ სურვილი ხომ მაინც გვაქ
კულტურული მუშაობისა, წინსვლელი-
ობისა; მისთვის ცხადია, ვინც ისოსავით
გონებრივთ „დისტრაზული“ არ არის,
რომ ვინც კულტურულ მუშაობას წინ
უდგება ის მისი მოლოდინა, პროგრესის
წინააღმდეგია, თუ ბ. ისო იტყვის, რომ
ჩვენ მუშაობას წინ არ აღდგობია, მის-
თვის ხელი არ შეუშლია, მაშინ მე ვეტ-
კრებ, რომ აზროვნულ სიღარიბესთან ის
ცრუვ არის, რადგან მივიღმა ქუთაისის
იცის, რომ ისომ გაზეთის დამტარებელთ
აუკრძალა „გარსკვალვის“ გაყიდვა. თუ
ბ. ისო ამას ცილის წამებდა ჩამობარო-
მებს, მაშინ მე მზათ ვარ გაყვე სამედი-
ატორი სამართალში და დავემტკიცო,
რომ „გაზეთის დამტარებელთ აუკრძალა
„გარსკვალვის“ გაყიდვა და თუ ვინმეს
გაუგებდა მის გაყიდვას. სამსახურიდან
დათხოვდა“. ორში ერთი უნდა იარ-
ჩიო ბ. ისო, ან საქვეყნო ალიარო,
რომ „გარსკვალვის“ არსებობას მისთან
ერთათ, თუ მეტი არა პროგრესული მუ-
შაობის სურვილს მაინც (ხელს უშლი-
დი), ან და მიმართოს სამედიტორი სა-
საართლოს და მომთხოვოს დამტკიცება,
რასაც მე დიდის სიამოვნებით შევეგებე-
ბი. ბ. ისო მის წერილში უმუშევარს და
უსაქმურს ერთმანეთში ურეფს, მაგრამ ეს
გასაკვირი ხომ არ არის მისგან, რადგან
ყველა ვაჭრის ასე ემსის, უსაქმურს უწო-
დებს მას, ვინც მოგების იდეებით არ
არის შესპორბილი. ვაჭარი ისო გაიხსნის
„მიხიბვრს რამდენიმე მეწევე, სტალია-
რი, ნოკარი, ასოთ-ამყობა და... შე-
დგინეს რედაქციაო“. საქვეყნოა მე
და ჩემმა დღერთმა; ჩვენ თუ გსურს
გელანძვე, მაგრამ ამ ნოკრებთან, მეწე-
ვლებთან და ასოთ ამყობებთან რა გი-
ნდა, —რომეთლაც ჩვენ „შეცოლებში“
წილი არ უღვეთ; თუ საკუთარი კაბინე-
თი გალაპარაკებს თავს ამამი ირონიით

მუშებზე? შენ შეიძლება ჩველებრივნი
უწოლო ამ სიტყვებს დემოგოგია, მაგრამ
საზოგადოებამ იცის თუ ვინ არის დემო-
გოგი მე და შენ შუა. „ლიტერატორის
მკოდნე“ ისო ჩვენ დავტყვის ქართუ-
ლი ენის წვალზე-წამების და თვითონ კი
ესე სწერს, როგორც ახალი ანბან შეს-
წავლილი მოწევემე მეთითებდ თითვე-
ლათ მის ლიტერატულ შეცდომებზე, მა-
გრამ ვიშობ მკითხველი მოწევეს; მე
მგონია მკითხველისთვის ესეც სამკარო-
სია დარწმუნდეს ისოს ფსიხოლოგიურ
და გონებრივ სიღებრივ სიმხინჯეში რო-
გორც ხდებთ მე კი არ ვაღიკრებ სი-
მართლეს და მე—მესტირება, არამედ
ჩვენ ტაქტიკის პრაქტიკოსან-ლიტერა-
ტორი ისო, (როგორც თვითონ უწო-
დებს თავს); რომელიც ცდილობს ჩვენი
თანძვლით თვალი აუხელოს მკითხველს
და მოირცხოს ის ჩირქი, რაც გაზეთ
„გარსკვალვთან“ ბრძოლაში მოიქცია.

რედაქცია თავის მხრივ ამოწმებს, რომ
გაზეთ „გარსკვალვს“ იმ თავითვე ეტყო-
ბოდა, რომ იგი ხანგრძლივთ არ იქნებო-
და და რომ მის ხელმძღვანელს საგა-
ზეთო მუშაობის ცოდნა და უნარი აკ-
ლდათ. ქუთაისის „გარსკვალვისთან“ გა-
ზეთი არ შეგვირის, ქუთაისი მთელი იმ-
ერეთის გონებრივი ცენტრია, და ნუ თუ
„გარსკვალვს“ უნდა ესაზრდებოდეს ეს
ცენტრი, როდესაც შიგ ახალ ამბების
მოთავსებასაც თუ ახერხებდა რედაქცია...
რედ.

რედაქცია-გამომცემელი
კ. ხარხუელიძე

განცხადებანი

НОВОСТЬ XX ВѢКА
СТАЛЬНАЯ-АЛЮМИНІЕВАЯ

КУХОННАЯ ПОСУДА

Александр Веркь
А. ФОНЬ-ДЕРЬ НАМЕРЬ.
МОСКВА, Мясницкая, № 20
ХАРЬКОВЪ, Московская, № 11
и во всѣхъ лучшихъ магазинахъ
хозяйственныхъ принадлежностей.

GRAND PRIX

1870 წ. პარიზი 1900 წ. 1882 წ.

1865 წ. 1896 წ.

გაღმართი

საეკონომიკო

სამ კუთხელით

1860.
T. P. A. P. M.
С. ПЕТЕРБУРГЪ.

რუსეთ-ამერიკის სარეზინო-მანუფაქტურის ამხანაგობა

სა ზიკრიო „ТРЕУГОЛЬНИКЪ“

ს-პეტერბურგში

სრული პასუხის-მგებლობა საქონლის საკარგისა.

იუიღება ყველგან

*) ამ იარაღების შესახებ მიწების დამუშავე-
ბაში და აქედან მინაღებ მოხალეში ხარია
თავსებს—უბრალო ეჯიბნი თანაწრონი უშლი-
ბით შეწყვედა და ამნიარად მათაც აძლევედენ
სამეურნეო იარაღების შესაძენს საშუალებას.